



სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ანგარიში

II კვარტალი

თბილისი

2018

სარჩევი

ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკი	-1
მედიისა და კომუნიკაციის ბლოკი	- 6
მედიაწარმოების ბლოკი	- 21
წარმოებისა და ტექნიკური უზრუნველყოფის ბლოკი	- 27
ადამიანური რესურსების მართვის სამსახური	- 30
იურიდიული სამსახურის ანგარიში	- 31
სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის” არქივი	- 38
ფინანსებისა და ადმინისტრაციის ბლოკი	- 42

ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკის ანგარიში

1. მოკლე მიმოხილვა

საანგარიშო პერიოდში ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკმა გააგრძელა პროექტის *მრავალფეროვანი საქართველო* გაფართოება. მაუწყებლობა დაიწყო აზერბაიჯანულმა და სომხურენოვანმა ონლაინ რადიო-ტელევიზიამ. შეირჩნენ და მომზადდნენ თანამშრომლები, აშენდა და აღიჭურვა ახალი სტუდიები.

გასულ კვარტალში *პირველმა არხმა* დაიწყო მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატის ექსკლუზიური რეპორტაჟები. მსოფლიო ჩემპიონატი გაშუქდება *პირველი არხის* ყველა პლატფორმით, მათ შორის მობილური აპლიკაციით.

საქართველოს რადიოს ეთერში *საინფორმაციო გამოშვება* ყოველ ნახევარ საათში მაუწყებლობის რეჟიმზე გადავიდა. გაიზარდა საინფორმაციო სამსახურის მაუწყებლობის დროც.

საანგარიშო პერიოდში აქცენტი გაკეთდა ექსკლუზიური და არამეინსტრიმული თემების ღრმა გაშუქებაზე. ამავე დროს, გაშუქდა ყველა მნიშვნელოვანი პოლიტიკური, საზოგადოებრივი, ეკონომიკური და კულტურული მოვლენა. გაშუქებულ მოვლენებს შორის აღსაშნავია სამთავრობო ცვლილებები, ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის სასამართლო პროცესი და მისი პოლიტიკური შედეგები, ღამის კლუბებში ჩატარებული ოპერაცია და საპროტესტო გამოსვლები, არჩილ ტატუნაშვილის საქმე, დამოუკიდებლობის 100 წლის იუბილე, ხავერდოვანი რევოლუცია სომხეთში.

საანგარიშო პერიოდში გასული გადაცემების რაოდენობა ასე გამოიყურება:

- პირველი არხი*
 - *აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად* - 41 გადაცემა
 - *კვირის ინტერვიუ* - 10 გადაცემა
 - *ახალი კვირა* - 13 გადაცემა
 - *42° პარალელი* - 13 გადაცემა
- რადიო პირველი არხი*
 - *ღია სტუდია* - 65 გადაცემა
 - *საღამოს პიკის საათი* - 63 გადაცემა
 - *ესტაფეტა* - 60 გადაცემა
 - *ჩვენი საქართველო* - 12 გადაცემა
 - *უფლება და თავისუფლება* - 15 გადაცემა

2. ეკომეტრი - 12 გადაცემა


სიახლეები

2.1. მრავალფეროვანი საქართველო

მაუწყებელმა გააგრძელა მუშაობა იმ სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაზე, რომელიც შემუშავდა ეროვნული და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლებთან თანამშრომლობით. საანგარიშო პერიოდში მაუწყებლობა დაიწყო აზერბაიჯანულმა და სომხურენოვანმა ონლაინ რადიო-ტელევიზიამ.

აღნიშნული მედია-პროდუქციის ნახვა შესაძლებელია ვებ-გვერდზე 1TV.GE.

არხებს ასევე გააჩნია საკუთარი გვერდი Facebook-ში.



პროექტის ფარგლებში შეირჩა და მომზადდა ახალი კადრები. აშენდა და აღიჭურვა ახალი სტუდიები (პირველი კორპუსის პირველ სართულზე).

პროექტი *მრავალფეროვანი საქართველო* მიზნად ისახავს ეთნიკური უმცირესობებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას მათთვის გასაგებ ენაზე, ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობას, მოქალაქეობრივი ცნობიერების ამაღლებას და მრავალფეროვან კულტურათა დიალოგის ხელშეწყობას.

პროექტი ითვალისწინებს:

- საინფორმაციო გამოშვება „მოამბის“ აზერბაიჯანულსა და სომხურ ენებზე მომზადებას;
- ინტერნეტ რადიო-ტელევიზიის 12 საათიან უწყვეტ ეთერს 1tv.ge-ზე;
- დოკუმენტური მასალების მომზადებას საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების შესახებ, მათივე ენაზე;
- გასართობი და შემეცნებითი გადაცემების მომზადებას, რომლებიც პირველი არხის ეთერში ქართულ ენაზე გავა, ხოლო ვებ-გვერდზე განთავსდება ეთნიკური უმცირესობების ენებზე.

პროექტის *მრავალფეროვანი საქართველო* ფარგლებში წინა საანგარიშო პერიოდში ამუშავდა *პირველი არხის* ახალი შვიდენოვანი ვებ-გვერდი და ახალი ამბების შვიდენოვანი აპლიკაცია.

2.2. მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში

2.3. რადიოს საინფორმაციო სამსახური

საანგარიშო პერიოდში გაიზარდა ახალი ამბების ინტენსივობა და *საინფორმაციო გამოშვება* ყოველ ნახევარ საათში გადის ეთერში. გაიზარდა საინფორმაციო სამსახურის მაუწყებლობის დროც. ცვლილებების შედეგად საინფორმაციო გამოშვებები ეთერშია დილის 8 საათიდან ღამის 12 საათის ჩათვლით. ყოველ სრულ საათზე მოისმენთ 5-წუთიან გამოშვებებს, ნახევარსაათიანი გამოშვებების ხანგრძლივობაა 1-3 წთ. დღის განმავლობაში შემაჯამებელი 10-წუთიანი გამოშვებები ეთერშია 12:00, 15:00, 18:00 და 21:00 საათებში.

3. გაშუქებული ექსკლუზიური და არამეინსტრიმული თემები

ახალი და მიმდინარე ამბების სატელევიზიო პროგრამები *მოამბე 21:00 საათზე, აქტუალური თემა მკა ცინცაძესთან ერთად, კვირის ინტერვიუ, ახალი კვირა* და *42° პარალელი* გამოკვეთილად ორიენტირებულია ექსკლუზიური და არამეინსტრიმული თემების ღრმა გაშუქებაზე.

არამეინსტრიმული თემატიკა ტრადიციულად შუქდება *საქართველოს რადიოს* ისეთ გადაცემებში როგორებიცაა *უფლება და თავისუფლება, ჩვენი საქართველო, ეკომეტრი, ღია სტუდია, საღამოს პიკის საათი* და სხვ.

ამავე მიმართულებით მუშაობს ინტერნეტ პროექტი *საინტერესო ადამიანები*.

საანგარიშო პერიოდში ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკის მიერ გაშუქებული ექსკლუზიური, საგამომიებო და არამეინსტრიმული თემების ნაწილის ჩამონათვალი იხილეთ დანართის სახით.

4. დამოუკიდებელი პროგრამები და მათი მწარმოებლები

ნამდვილი დრო (Настоящее Время) - *პირველი არხის* ეთერში ორშაბათი – პარასკევი, 07:30-08:00. ახალი ამბების რუსულენოვანი სატელევიზიო გადაცემა წარმოადგენს „რადიო თავისუფალი ევროპა/რადიო თავისუფლებისა“ და „ამერიკის ხმის“ ერთობლივ პროექტს, რომელიც ხორციელდება საქართველოში, ესტონეთში, ლატვიაში, ლიტვაში, მოლდავეთსა და უკრაინაში მოქმედ საზოგადოებრივ და კერძო მაუწყებლებთან თანამშრომლობით.

ვაშინგტონი დღეს - ამერიკის ხმის ქართული რედაქციის მიერ მომზადებული ტელეპროგრამა გადის *პირველ არხზე* ყოველ კვირა დღეს, 14:30-15:00 საათზე. ყოველკვირეული ანალიტიკური ტელეპროგრამაში მოისმენთ ამერიკელი და ქართველი ექსპერტების ანალიზს მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების შესახებ და გაეცნობით ამერიკაში მცხოვრები ცნობილი ქართველების ისტორიებს.

ამერიკის ხმა - *რადიო პირველი არხის* ეთერში ყოველ დღე, 20:05-ზე ამერიკის ხმის ქართული რედაქციის მიერ მომზადებული 15-წუთიანი საონფორმაციო გამოშვებებში მოისმენთ ამერიკასა და საქართველოში მიმდინარე ამბებს, ექსპერტულ შეფასებებს და ინტერვიუებს.

ჯაზ ამერიკა - „ამერიკის ხმის“ ყოველკვირეული პროგრამა ჯაზზე. რას დევსის საავტორო გადაცემა ჯაზის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი პროგრამაა მსოფლიოში. „ჯაზ ამერიკა“ ინგლისურენოვანია რის გამოც ის *რადიო პირველი არხის* ეთერში გვიან ღამით გადაიცემა.

5. მოკლე მიმოხილვა

პირველი არხი ახალი სეზონიდან (10 სექტემბერი), იწყებს ახალ პროგრამას *ნაშუადღევი*. შემენცებით-გასართობი გადაცემა ეთერში გავა ყოველ სამუშაო დღეს 12:30-15:00 საათებში. პროგრამის შემოქმედებითი ჯგუფი უკვე მუშაობს პროგრამაზე. მზადაა გადაცემის შეფუთვა და მზადდება დეკორაცია.

ახალი სეზონიდან ცვლილებები შევა სადამოს სატელევიზიო თოქ-შოუების ზოლსა და 21 საათიან მოამბეში.

ასევე მზადდება *საქართველოს რადიოს* ახალი პროგრამები. გარკვეული კორექტივები შევა არსებულ რადიო პროგრამებშიც.

მედიისა და კომუნიკაციის ბლოკი

2018 წლის მეორე კვარტლის განმავლობაში, მედიისა და კომუნიკაციის ბლოკმა არაერთ პროექტზე იმუშავა. მათგან განსაკუთრებული მნიშვნელობის იყო დოკუმენტური ფილმის „ვიკინგები“ და პროექტ „მრავალფეროვანი საქართველოს“ პრეზენტაცია; დამოუკიდებლობის 100 წლისადმი მიძღვნილი ღონისძიება რუსთაველის გამზირზე; ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის „**fifa world cup 2018**“ წარმატებული სტარტი და საგანგებოდ შექმნილი სატელეფონო აპლიკაციები „**1TV World Cup**“ და „**მარტივი ლოგიკა**“.

აღსანიშნავია, რომ ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის ტრანსლირებამ რადიკალურად შეცვალა სარეიტინგო მაჩვენებლები. პირველი და მეორე კვარტლის მონაცემების შედარებით ანალიზმა გვიჩვენა, რომ პირველი არხის საშუალო რეიტინგი გაიზარდა **68.97%**-ით, არხის წილმა მოიმატა **95%** - ით:

წარმოგიდგენთ მოკლე მიმოხილვას, მეორე კვარტლის განმავლობაში, ბლოკის მიერ განხორციელებული ყველაზე მნიშვნელოვანი სამუშაოს შესახებ:

○ ცვლილებები ბადეში

2018 წლის მეორე კვარტალში, პირველი არხის სატელევიზიო ბადეს შეემატა შემდეგი გადაცემები:

- სპორტული თოქ-შოუ - „360 გრადუსი“ - ორშაბათი, 23:30 სთ. (გადაცემა ეთერში შევიდა 01.04 .2018)
- „კაცები“ - ოთხშაბათი, 22:30 სთ. (გადაცემა ეთერში შევიდა 01.05 .2018)
- „საქართველოს სახელით“ - შაბათი-კვირა, 18:30 სთ. (გადაცემა ეთერში შევიდა 19.05.2018; შვიდი ეპიზოდი)
- „ევროვიზიის“ კონკურსის პირდაპირი ტრანსლაცია ლისაბონიდან 8, 10, 12 მაისს. საქართველო წარადგინა ჯგუფმა „ირიაო“. მომზადდა სამი დოკუმენტური ფილმი „ევროვიზიის“ კონკურსთან და ჯგუფ „ირიაოსთან“ დაკავშირებით.
- დ/ფ ფილმი: „ვიკინგების უკანასკნელი ლაშქრობა“ - ტელე-პრემიერა (ფილმი ეთერში გავიდა 12.05.2018. 22:00 სთ-ზე).
- „ეპოქის ფრაგმენტები“ - (ეთერში გავიდა 05.04. -დან, საპრემიერო ჩვენებები ხუთშაბათობით 23:30სთ-ზე).

26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წელთან დაკავშირებით, პირველმა არხმა იმუშავა საგანგებოდ მომზადებული პროგრამირებით. მაუწყებლობა მიმდინარეობდა რუსთაველის გამზირზე გაშლილი პავილიონიდან, სადაც რამდენიმე გადაცემამ წარმოადგინა სპეციალურად ამ მნიშვნელოვანი თარიღისადმი მიძღვნილი პროგრამა.

14 ივნისს დაიწყო მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში FIFA 2018, რომელმაც მნიშვნელოვნად შეცვალა პირველი არხის სამაუწყებლო ბადე. ჩემპიონატთან დაკავშირებით მომზადდა და ეთერში ჩაეშვა სპეციალურად ამ ჩემპიონატისადმი მიძღვნილი საფეხბურთო გადაცემა. ყოველ სათამაშო დღეს, ეთერში განთავსდა სპორტული ვიქტორინა-გათამაშება „ფეხბურთის ლოგიკა“ და გადაცემა „მოთელვა“.

o მარკეტინგის სამსახური

მარკეტინგის სამსახურის მხარდაჭერით განხორციელდა 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიება რუსთაველზე. აღნიშნულ ღონისძიებაზე, გადაცემების („მარტივი ლოგიკა“, „ხარ თუ არა მეექვსე კლასელზე ჭკვიანი“, „წიგნების თარო“) მონაწილეებისთვის დამზადდა სასაჩუქრე ატრიბუტიკა.

ასევე, განსაკუთრებულად დაიგეგმა და აღინიშნა რადიოს დაბადების დღე. ტრადიციულად, გაშუქდა და დაიგეგმა მსოფლიო რბენა 2018-ში მაუწყებლის ჩართულობა.

წარმატებით დაიწყო და უხარვეზოდ მიმდინარეობს „fifa world cup 2018“ ტრანსლირება პირველი და მეორე არხებზე, რამაც უკვე მნიშვნელოვნად შეცვალა სარეიტინგო მაჩვენებლები.

მარკეტინგის სამსახურის ორგანიზებით გაიმართა პირველი არხის ახალი დოკუმენტური ფილმის „ვიკინგების უკანასკნელი ლაშქრობა“ პრეზენტაცია, რომელზეც მოწვეული იყო 200 - მდე სტუმარი.

ჩატარდა საზოგადოებრივი მაუწყებლის ახალი პროექტის - „მრავალფეროვანი საქართველო“ - პრეზენტაცია, რომელსაც დაესწრნენ საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები.



ასევე, მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობდა მოქალაქეების მიერ გამოგზავნილი წერილების დამუშავება და უკუკავშირის განხორციელება, მათთან საპასუხო კომუნიკაციის, შეხვედრისა და გაშუქების გზით.


საერთაშორისო მიმართულებით ორგანიზება გაეწია მნიშვნელოვან შეხვედრებს, მიმდინარე ღონისძიებების პარტნიორულ თუ ადმინისტრაციულ მხარდაჭერას. მათ შორის, აღსანიშნავია, რომ საზოგადოებრივმა მაუწყებელმა მონაწილეობა მიიღო ევროპის მაუწყებელთა კავშირის (EBU) გენერალურ ასამბლეაზე. ასევე, EBU-ს დელეგაცია სამუშაო ვიზიტით ეწვია საზოგადოებრივ მაუწყებელს.

o კვლევისა და ანალიტიკის ჯგუფი

ყოველდღიურ რეჟიმში მიმდინარეობს სატელევიზიო ბაზრის კვლევა. საზოგადოებრივი მაუწყებლის და სხვა ტელეარხების გადაცემების მონიტორინგი და ანალიზი. მონიტორინგი ხორციელდება “people meters“-ების საშუალებით. მონაცემების ჩატვირთვა და დამუშავება მიმდინარეობს პროგრამა „Instar Analytics“-ს საშუალებით.

პირველი და მეორე კვარტლის სარეიტინგო მაჩვენებლების შედარებამ გვიჩვენა, რომ პირველი არხის საშუალო რეიტინგი გაიზარდა **68.97%**-ით; არხის წილმა მოიმატა **95%** ით:





კვლევისა და ანალიტიკის ჯგუფი აქტიურადაა ჩართული 2018 წლის სეზონის მექანიკური პროდუქციის (მხ.ფილმები, ტელესერიალები, დოკ.სერიალები) შერჩევის პროცესში. პროცესი გულისხმობს: მსოფლიოს მსხვილი მწარმოებლების მიერ შემოთავაზებული პროდუქციის შესწავლას, განხილვას, შეფასებას და რეკომენდაციების შემუშავებას.

EBU-ს მოთხოვნის შესაბამისად (სამიზნე აუდიტორიების სარეიტინგო მაჩვენებლები: საშუალო რეიტინგი, ბაზრის წილი, ერთწუთიანი და თხუთმეტწუთიანი მოცვა. სრული აუდიტორიის ჩაშლა - დემოგრაფიულ ჭრილში) მომზადდა და გაიგზავნა 2017-2018 წლის ჩემპიონთა ლიგის (15.08.2017-26.05.2018) ანგარიშები.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური და საინფორმაციო გადაცემების მონიტორინგის წარმოებისთვის მომზადდა პროექტი, რომელიც გამოიყენება პირველი არხის და კონკურენტი არხების გადაცემების შედარებითი ანალიზისთვის. მიღებული მასალა საშუალებას მოგვცემს გარკვეული პერიოდულობით მომზადდეს ანგარიშები შიდა მოხმარებისთვის, აგრეთვე დამუშავდეს გარე გამოყენებისათვის - არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის. პროექტი დამუშავების სტადიაშია.

o **სარეკლამო სამსახური**

2018 წლის მეორე კვარტალში, მომსახურეობა გაეწიათ სოციალურ და კომერციულ რეკლამებს.

ამასთან, სატელევიზიო კომერციული რეკლამის საბარტერო მომსახურეობის ღირებულებამ შეადგინა **223 493 ლარი და 35 თეთრი და 3 000 აშშ დოლარი** დღგ-ს ჩათვლით. სატელევიზიო კომერციული რეკლამის ღირებულებამ- **204 693 ლარი და 35 თეთრი და 635 682 აშშ დოლარი და 25 ცენტი** დღგ-ს ჩათვლით.

დაწყებულია მუშაობა საზოგადოებრივი მაუწყებლის ყველა პლატფორმაზე, of prime -ში, კომერციული რეკლამის ფასების შემუშავებასთან დაკავშირებით.

იგეგმება 2018 წლის ახალი სეზონის და 2019 წლის სარეკლამო გაყიდვების სტანდარტების შემუშავება.

აპრილი 2018

ბარტერი		
დამკვეთი	თანხა აშშ დოლარში	თანხა ლარში
შპს „სადისტრიბუციო კომპანია“		7 141,86
შპს „რადიო ჰოლდინგი ფორტუნა“		430,12
სს „ბაგრატიონი-1882“		5 000,00
ააიპ „საქართველოს ძიუდოს ფედერაცია“		10 500,00
შპს „ჯორჯიან ფიტნეს გრუპ“		510,00
ჯამი:		23 581,98

ტელე განთავსება		
დამკვეთი	თანხა აშშ დოლარში	თანხა ლარში
შპს „შანსი მენგა თრეიდ კომპანი“	9 900,00	
შპს „ბესტჰაუსი“	14 426,25	
შპს პრომედია	6 762,50	
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისის		2 595,60
ააიპ საზოგ. კომუნიკაციის განვით. სააგენტო		2 185,20
საქ. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო		2 710,80
ჯამი:	31 088,75	7 491,60

მაისი 2018

ბარტერი		
დამკვეთი	თანხა აშშ დოლარში	თანხა ლარში
შპს „სადისტრიბუციო კომპანია“		3 571,35
შპს „რადიო ჰოლდინგი ფორტუნა“		2 257,84
სს „ბაგრატიონი-1882“		1 500,00
ააიპ „საქართველოს ძიუდოს ფედერაცია“		10 500,00
შპს „ჯორჯიან ფიტნეს გრუპ“		765,00
შპს „მეს“		1 500,00
აიპ „საქ. კალათბურთის ეროვნული ფედერაცია“	3 000,00	
ჯამი:	3 000,00	20 094,19

ტელე განთავსება		
დამკვეთი	თანხა აშშ დოლარში	თანხა ლარში
შპს „შანსი მენჯა თრეიდ კომპანი“	3 712,50	
შპს „ბესტჰაუსი“	6 501,00	
შპს პრომედია	6 325,00	
შპს მარსი, შპს ტვ11	10 500,00	
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისის		1 926,00
ააიპ საზოგ. კომუნიკაციის განვით. სააგენტო		1 227,60
საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია		3 898,80
ჯამი:	27 038,50	7 052,40

ივნისი 2018


ბარტერი		
დამკვეთი	თანხა აშშ დოლარში	თანხა ლარში
შპს „სადისტრიბუციო კომპანია“		11 0 942,18
შპს „რადიო ჰოლდინგი ფორტუნა“		23 875,00
შპს „ომეგა“		5 000,00
ააიპ „საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია“		40 000,00
ჯამი:		179 817,18

ტელე განთავსება		
დამკვეთი	თანხა აშშ დოლარში	თანხა ლარში
შპს „შანსი მეჯა თრეიდ კომპანი“	130 000,00	
შპს „ბესტჰაუსი“	134 700,00	
შპს პრომედია	140 625,00	
შპს მარსი, შპს ტვ11	15 000,00	
სს „ლომისი“	94 600,00	
შპს „ბეთერფლაი“	15 030,00	
შპს „ედკორპორაცი“	31 250,00	
შპს „ფორმულა პროესკო“	16 350,00	
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისის		1 411,20
სსიპ აწარმოე საქართველოში		3 315,60
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო		8 046,00
საქართველოს თავდაცვის სამინისტრო		6 987,60
შპს „ომეგა“		2 812,50
შპს „ატა ჯგუფი“		25 600,00

შპს „პანორამა“		127 647,50
შპს „ბესტაუსი“		14 328,95
ჯამი:	577 555,00	190 149,35

○ მივლინებები

- 2018 წლის აპრილი, მაისი, ივნისის თვეების განმავლობაში მომზადდა 298 სამივლინებო განაცხადი, აქედან შესყიდული იქნა 73 ავიაბილეთი, 592 სასტუმრო ნომერი და 2 მატარებლის ბილეთი.



○ ვიზუალური გაფორმების ჯგუფი

საანგარიშო პერიოდში, ვიზუალური გაფორმების სამსახურმა იმუშავა უამრავ მიმდინარე თუ ახალ პროექტზე. ყველა გადაცემისთვის, მხატვრული და დოკუმენტური ფილმებისა და სერიალებისთვის, ახალი პროექტებისა და ღონისძიებებისთვის, მათ შორის, დიდი სპორტული ტრანსლაციებისთვის (მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში - fifa world cup 2018-ის, კალათბურთის სუპერ ლიგის, ჩემპიონთა ლიგის, მინი ფეხბურთის ტურნირის, საქართველოს ჩემპიონატის ფეხბურთში, 2019 წლის მსოფლიოს შესარჩევი ტურნირის ანონსირება) დამზადდა პრომო და ანონსი. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პრომოსა თუ ანონსის ტექსტი დაიწერა, შემუშავდა ონლაინ პლატფორმისთვის გადაცემების ბანერების დიზაინი და შესრულდა სხვადასხვა სახის გრაფიკული სამუშაო მიმდინარე გადაცემებისა თუ დროებითი პროექტებისთვის.

საერთო ჯამში დამზადდა :

პროდუქტი	რაოდენობა
პრომო	23
ტიხარი	12
ანონსი	229
საეთერო ტიხარი	26
თიზერი	25
ლოგო	3
ქუდი	3

ჯგუფის მიერ მომზადებული ანონსები შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე:

https://1tv.ge/show/anonsebi/?tab=video&video_category=0

o **მზა პროდუქციის შესყიდვისა და თარგმნა-გახმოვანების სამსახური**

მექანიკურ პროდუქციასთან დაკავშირებით, ახალ სეზონზე მაუწყებელი აგრძელებს იგივე პოლიტიკას და მაყურებელს სთავაზობს ევროპულ და ამერიკულ მაღალი ხარისხის მრავალფეროვან და სხვადასხვა ჟანრის როგორც მხატვრულ, ასევე დოკუმენტური სერიალს.

მზა პროდუქციის შერჩევისა და გახმოვანების სამსახურმა, მიმდინარე წლის მეორე კვარტალში, კომპანია “Film Quest Entertainment”-სგან შეისყიდა დღის ეთერისთვის მხატვრული ფილმები და დეტექტიური სერიალი „წმინდა ინგლისური მკვლელობა“, რომელიც განკუთვნილია შაბათ-კვირის ზოლისთვის. ასევე, კომპანია “PGS Entertainment”-სგან შეძენილი იქნა ანიმაციური სერიალი „ელვინი და თახვები“, ხოლო კომპანია “Boomerang TV”-სგან - სერიალის „მველი ხიდის საიდუმლო“ ახალი მე-7-8-ე სეზონები.

შეირჩა ARTE-ს ახალი დოკუმენტური ფილმები (მხატვრობა, ისტორია, კინო, მოდა, ლიტერატურა) და გაფორმდა ხელშეკრულება. უახლოეს მომავალში დაიწყება ფილმების მოწოდება.

დაიწყო მოლაპარაკება და მალე მოხდება შეთანხმება კომპანია Paramount Pictures-თან მსხვილი პაკეტისთვის, რომელიც მოიცავს 200-მდე მხატვრულ და სრულმეტრაჟიან ანიმაციურ ფილმს. ასევე, დაიწყო მოლაპარაკება კომპანია “Globo Comunicacao E Participacoes S.A.”-თან კიდევ ერთი ახალი ბრაზილიური სერიალისთვის და კომპანია RAI-სთან მხატვრული სერიალებისთვის.

გახმოვანების ჯგუფმა 2018 წლის მეორე კვარტალში გაახმოვანა მხატვრული, დოკუმენტური ფილმები, მხატვრული სერიალები და ანიმაცია. უკვე საბოლოო სახით, ანუ მასტერინგის ჩათვლით, თარგმნა-გახმოვანება-სუბტიტრების ჯგუფმა შეადგინა 324 საათი. აპრილში გახმოვანდა 108 სთ, მაისში 126 სთ, ივნისში - 90 საათი. პროდუქციის დიდი ნაწილი გახმოვანებულია ორ ხმაში, მაგრამ მხატვრული ფილმების და ანიმაციის გარკვეული ნაწილი გახმოვანდა სამ და ოთხ ხმაშიც კი. თუმცა, კვლავ არსებობს ტექნიკური სახის პრობლემები.

მიმდინარე წლის აპრილის თვეში, სამსახურის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს სატელევიზიო ბაზრობა MIPTV 2018, ქალაქ კანში. ასევე, დაესწრნენ სკრინინგს MIPDRAMA და კონფერენციას, სადაც განიხილებოდა ახალი ტენდენციები მსოფლიოს სატელევიზიო ბაზარზე. ასევე, მონაწილეობა მიიღეს იტალიაში კომპანია RAI-ს სკრინინგზე, ივნისში, ქალაქ ბუდაპეშტში ბაზრობაში NATPE 2018, სადაც შეხვედრები შედგა მწარმოებლებთან და დისტრიბუტორებთან.

o რადიო

„რადიო პირველი არხის“ ბადე მომზადდა რადიომსმენელების მოთხოვნის და ქცევის გათვალისწინებით, იმ მონაცემებზე დაყრდნობით, რაც გვიჩვენა 2016 წელს ჩატარებულმა რაოდენობრივმა კვლევამ. კვლევის მონაცემებმა საშუალება მოგვცა განგვესაზღვრა დროის ზოლები - სამიზნე ჯგუფების მიხედვით. ბადეში ასევე აისახა არსებული რეალობა ემპირიული დაკვირვების საფუძველზე.

ახალი გადაცემები

საანგარიშო პერიოდში გაიზარდა ახალი ამბების ინტენსივობა - *საინფორმაციო გამოშვება* ყოველ ნახევარ საათში გადის ეთერში. გაიზარდა საინფორმაციო სამსახურის მაუწყებლობის დროც. ცვლილებების შედეგად საინფორმაციო გამოშვებები ეთერშია დილის 8 საათიდან ღამის 12 საათის ჩათვლით. ყოველ სრულ საათზე 5-წუთიანი გამოშვებები. დღის განმავლობაში შემაჯამებელი 10-წუთიანი გამოშვებები ეთერშია 12:00, 15:00, 18:00 და 21:00 საათებზე.

ეთერში გავიდა ახალი ყოველდღიური პროგრამა *სახლისკენ*. შემეცნებით-გასართობი პროგრამა ეთერშია ყოველ სამუშაო დღეს 18:10-20:00 საათებში. მის ძირითად მიზნობრივ აუდიტორიას წარმოადგენს სამსახურიდან სახლისკენ მიმავალი რადიომსმენელი. პროგრამა გაგაცნობთ დღის მნიშვნელოვან მოვლენებს, ექსკლუზიურად წარმოგიდგენთ სიახლეებს, შემოგთავაზებთ მუსიკას, რომელიც საინტერესო სტუმართან თუ ინფორმაციასთან ერთად შეგიმსუბუქებთ დამღლელი სამუშაო დღის ბოლოს სახლისკენ მიმავალ საცობებიან გზას.

საანგარიშო პერიოდში *საქართველოს რადიომ* დაიწყო საგანმანათლებლო პროექტი *დამოუკიდებლობის 1028 დღე*. პროექტი ეძღვნება დამოუკიდებლობის აღდგენის 100 წლის იუბილეს. გადაცემის მიზანია, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის ობიექტური წარმოჩენა, რა გზა გაიარა ჩვენმა ქვეყანამ დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე და რა ვითარებაში დაიბადა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. ყოველკვირეული პროგრამის ქრონომეტრაჟია 25 წუთი.

საანგარიშო პერიოდში დაიწყო საგანმანათლებლო პროგრამა *საუკეთესო წიგნები*. ყოველკვირეული გადაცემის მიზანია წიგნისა და წიგნიერების პოპულარიზაცია. მისი ქრონომეტრაჟია 25 წუთი.

ცვლილებები შევიდა პროგრამის *პიკის საათი* ფორმატში, შეიცვლება მისი სტრუქტურა. პროგრამა გამდიდრდა ახალი რუბრიკებით.

ტექნიკური გადაიარაღება

საანგარიშო პერიოდში რადიო პირველმა არხმა განახლებული სტუდიიდან დაიწყო მაუწყებლობა. საქართველოს რადიოსთვის უპრეცედენტო მასშტაბის პროექტის შედეგად, რადიოს სრულიად ახალი შესაძლებლობები გაუჩნდა. ახალმა სასტუდიო მიკროფონებმა, მოკროფონების პროცესორებმა, აუდიო მიქშერმა, პროფესიონალური ხმის ჩამწერებმა და სტუდიის აკუსტიკურმა სისტემებმა ხმის ხარისხი თვისობრივად გააუმჯობესა. გარდა ამისა, სტუდიის ახალმა ფუნქციურმა შესაძლებლობებმა, სტუდიურმა და გარე ჩაწერის კომპიუტერებმა და ეთერის ავტომატიზაციის სისტემებმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს საწარმოო ციკლი.

o **ონლაინ მედია**

პირველმა არხმა მომხმარებელს შესთავაზა ახალი ამბების მობილური აპლიკაცია Android-ისა და IOS პლატფორმაზე მომუშავე სმარტფონებისთვის. ასევე დაიგეგმა ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატთან დაკავშირებით მობილური აპლიკაცია და ჩემპიონატის ინტერაქტიული ე.წ. Predictor-ცხრილი. საზოგადოებრივი მაუწყებლის ონლაინ მედიის ჯგუფი აგრძელებს ვებპლატფორმაზე - Itv.ge მუშაობას. შვიდენოვან საინფორმაციო პლატფორმაზე კვლავ გრძელდება როგორც მაუწყებლის ტელე და რადიოგადაცემების ატვირთვა, ასევე დამოუკიდებელი ვებპროექტების. ვებპორტალი ადაპტირებულია შშმ პირებისთვის. ონლაინ მომხმარებელთა რაოდენობა დინამიკურად ზრდადია ყველა პლატფორმაზე: მატება (წინა კვარტალთან შედარებით): 42,64%

საიტის სტატისტიკა


II კვარტალი 2018	I კვარტალი 2018	IV კვარტალი 2017
ვიზიტი საიტზე - 6,861,046	ვიზიტი საიტზე - 4,809,898	ვიზიტი საიტზე - 4,712,631
უნიკალური მომხმარებელი 5,230,911 (საშუალოდ დღეში) - 57.483	უნიკალური მომხმარებელი 3,889,198 (საშუალოდ დღეში) - 43.213	უნიკალური მომხმარებელი 3,678,477 (საშუალოდ დღეში) - 39.983
საშუალოდ დღეში ვიზიტი: 76.000	საშუალოდ დღეში ვიზიტი: 53.443	საშუალოდ დღეში ვიზიტი: 51.225
მაქსიმალური მაჩვენებელი - 158,766 (19 ივნისი, 2018)	მაქსიმალური მაჩვენებელი - 136,163 (16 მარტი, 2018)	მაქსიმალური მაჩვენებელი - 101,476 (4 ქტომბერი, 2017)

იუთუბის სტატისტიკა

II კვარტალი 2018	I კვარტალი 2018	IV კვარტალი 2017
ნახვა - 15.935.468	ნახვა - 15.049.132	ნახვა - 12.093.741
საშუალოდ დღეში ნახვა - 175.115	საშუალოდ დღეში ნახვა - 167.212	საშუალოდ დღეში ნახვა - 131.453
მაქსიმალური მაჩვენებელი - 309,410 (13 მაისი, 2018)	მაქსიმალური მაჩვენებელი - 800,571 (16 მარტი, 2018)	მაქსიმალური მაჩვენებელი - 387.907 (5 დეკემბერი, 2017)

დღევანდელი მდგომარეობით, Youtube-არხების სტატისტიკით, პირველი არხი ლიდერია ქართულ მედიაში.

ვიზიტები YouTube-არხებზე



სპეციალურად პირველი არხის ფეისბუქპლატფორმისთვის მზადდება თემატურად მრავალფეროვანი კონტენტი:

- 2-3 წუთიანი "ფიჩერები", რომლის მიზანი აუდიტორიაში საინტერესო პერსონის წარდგენაა;
- რუბრიკა "მასტერკლასი", რომლის მიზანია, აუდიტორიისთვის საყვარელ ვებ-პროდუქტად იქცეს.

საინფორმაციო ტიპის ვიდეოების ნახვა 4-დან 20 ათასამდე მერყეობს, თემის აქტუალურობის მიხედვით.

ფეისბუქ გვერდების ზოგადი სტატისტიკა 12/2015-06/2018

FB-pages statistic 12-2015 - 03 2018


გვერდი	12 2015	05 2016	09 2016	10 2016	12 2016	01 2017	03 2017	12 2017	03 2018	06 2018	Growth Last Year	Growth From 12 2015
1 პირველი არხი	115,000	135,000	143,000	149,000	155,000	159,000	162,000	184,500	205,500	220,500	58,500	105,500
2 წიგნებისთარო	3,500	20,900	24,500	26,000	28,400	32,500	38,000	56,700	65,000	77,600	39,600	76,100
3 გურამია	11,200	18,300	26,200	27,000	28,500	30,500	32,300	40,200	43,700	47,700	15,400	36,500
4 მეცესკვლას	-	-	-	-	-	-	-	33,300	35,000	38,000	38,000	38,000
5 კომ'სტრუდია	20,000	26,500	28,400	29,000	30,000	31,700	33,200	35,000	35,000	35,000	-	15,000
6 Eurovision	23,200	25,000	25,000	25,000	27,000	30,400	31,100	34,000	34,200	34,200	3,200	11,000
7 სპორტი	3,000	8,800	15,400	15,700	17,300	18,300	19,000	31,000	33,000	34,200	15,200	31,200
8 რეალური	10,000	19,100	21,000	21,400	23,200	23,600	27,000	30,700	31,600	34,200	6,600	28,200
9 პირადი ექიმი	2,000	-	12,400	12,700	13,600	14,000	15,000	20,800	26,000	30,000	16,000	28,000
10 მარტივი ლოგ	-	-	-	-	-	-	-	-	8,600	24,000	15,200	24,000

ტოპ10 პოსტი საიტზე

II კვარტალი

Page Title	Page Views	Unique Page Views	Avg. Time on Page
	6,861,046 % of Total: 100.00% (6,861,046)	5,230,911 % of Total: 100.00% (5,230,911)	00:02:47 Avg for View: 00:02:47 (0.00%)
1. ახალი ამბები - 1TV	962,357 (14.03%)	446,351 (8.53%)	00:01:57
2. Live - 1TV	641,139 (9.34%)	381,219 (7.29%)	00:04:43
3. ხალხის რჩეული - მიეტი ხმა შუგს დავიორის!	138,530 (2.02%)	59,176 (1.13%)	00:01:28
4. Новости - 1TV	50,848 (0.74%)	17,489 (0.33%)	00:02:00
5. მსოფლიოს 2018 წლის ჩემპიონატის კალენდარი - 1TV	46,900 (0.68%)	39,773 (0.76%)	00:04:05
6. ჩემი რჩეული მონაწილე გიგო ლემონჯვა	44,377 (0.65%)	22,958 (0.44%)	00:01:35
7. You searched for - 1TV	43,811 (0.64%)	17,276 (0.33%)	00:04:08
8. სპორტი - 1TV	40,704 (0.59%)	24,641 (0.47%)	00:01:04
9. 1 არხი - 1TV	40,253 (0.59%)	26,326 (0.50%)	00:02:56
10. პირველი არხი - 1TV	38,047 (0.55%)	27,136 (0.52%)	00:01:07
11. ჩემი რჩეული მონაწილე ლანა მკარამელი	36,239 (0.53%)	18,823 (0.36%)	00:01:15
12. ნარკოტიკების ინტერნეტით რეალიზების ზრადებით დაკავებულს სასამართლომ პატიშრობა შეუდარდა [ვლადი] - 1TV	36,004 (0.52%)	33,990 (0.65%)	00:03:50
13. თბილისში ბელარუსიელის ქუჩაზე ინციდენტის მონაწილეებს შორის ანხანაური სადგინდო მატრი გაიხარებენ - 1TV	35,717 (0.52%)	34,423 (0.66%)	00:04:26
14. FB-live - 1TV	34,462 (0.50%)	19,325 (0.37%)	00:00:29
15. 2 არხი - 1TV	29,901 (0.44%)	17,951 (0.34%)	00:03:28
16. გამომზებელი რეპორტიორი - კისხლში მოხვლილი ბიჭები ხორავას ქუჩიდან - 1TV გამომზებელი რეპორტიორი	28,702 (0.42%)	24,595 (0.47%)	00:04:14
17. მსოფლიო - 1TV	24,019 (0.35%)	10,895 (0.21%)	00:02:51
18. ჩემი რჩეული მონაწილე შოთა შვენიერაძე	23,962 (0.35%)	12,704 (0.24%)	00:01:26
19. 51-ე სკოლის დირექტორი - ვერაიან დაადასტურებს, რომ დავით სარალიძე ვინმეს ჩაგრაგდა, ის იყო კეთილი, რამადა ხოლმე „მე ვარ მიქი პოზიტივი“ - 1TV	23,377 (0.34%)	22,445 (0.43%)	00:03:50
20. მთაბე - 1TV	22,684 (0.33%)	10,155 (0.19%)	00:01:09
21. მომსახურების „მე მომავალ“ დამფუძნებელი - ელისო კილაძის შვილი ხმობან შეტყობინებებს მიუზანის და მებუქრებს [ვიდეო] - 1TV	21,817 (0.32%)	20,538 (0.39%)	00:04:53
22. მეორე არხი - 1TV	21,429 (0.31%)	15,620 (0.30%)	00:00:38
23. კახა კალაძე 15 წლის გიგი ანთაძეს ბიზნესსაქმიანობისთვის ჯიბური გადასცა - 1TV	19,236 (0.28%)	18,435 (0.35%)	00:03:26
24. 2018 წლის მსოფლიო ჩემპიონატის კენჭისყრის შედეგები - 1TV	19,213 (0.28%)	16,324 (0.31%)	00:02:10
25. გადაცემები - 1TV	18,961 (0.28%)	12,450 (0.24%)	00:00:45

მომხმარებლის დემოგრაფია და ინტერესები



ვიზიტების გეოგრაფია

1. 🇦🇷 Georgia	1,040,381 (79.47%)
2. 🇺🇸 United States	27,451 (2.10%)
3. 🇷🇺 Russia	26,260 (2.01%)
4. 🇫🇷 France	25,784 (1.97%)
5. 🇵🇪 Peru	20,530 (1.57%)
6. 🇩🇪 Germany	19,414 (1.48%)
7. 🇹🇷 Turkey	18,042 (1.38%)
8. 🇮🇹 Italy	17,755 (1.36%)
9. 🇬🇷 Greece	15,195 (1.16%)
10. 🇦🇲 Armenia	9,916 (0.76%)

მოწყობილობები და წვდომის წყაროები

<input type="checkbox"/>	1. mobile	889,680 (68.10%)
<input type="checkbox"/>	2. desktop	388,026 (29.70%)
<input type="checkbox"/>	3. tablet	28,773 (2.20%)

შემოსვლის წყაროები

Top Channels



- სამომავლო გეგმები

დაწყებულია:

- ახალ სატელევიზიო სეზონისთვის მზადება
- ახალ რადიო სეზონისთვის მზადება


შემუშავების ეტაპზეა შემდეგი დოკუმენტები:

1. საპროგრამო პოლიტიკა
2. გაყიდვების სტრატეგია
3. ბრენდ-ბუქი
4. კვლევა- მონიტორინგის პროექტი
5. აუდიტორიის პროფაილები
6. ტექნიკური გავრცელების გაიდი
7. 2018-19 სატელევიზიო ბადე
8. მარკეტინგული კომუნიკაციის სტრატეგია

მედია წარმოების ბლოკის ანგარიში

1. ზოგადი სტატისტიკური მონაცემები:

2018 წლის II კვარტლის მოცემულობით მედია წარმოების ბლოკი აწარმოებს:



2. მნიშვნელოვანი მოვლენები/სამუშაოები/ნაბიჯები/სიახლეები

დასრულდა კომპანია „Endemol“ –ის გეიმშოუს „**მარტივი ლოგიკა**“ პირველი სეზონი. აღნიშნულ საანგარიშო პერიოდში მომზადდა 42 გადაცემა. მასში მონაწილეობა მიიღო 214 ადამიანმა და პროექტის ფარგლებში გათამაშდა 72 034 ლარი. გადაცემის პარალელურად შეიქმნა „მარტივი ლოგიკის“ მობილური აპლიკაცია, რომელიც ძალიან მალე გახდა პოპულარული. დღეისათვის მას უკვე 200 000 მოხმარებელი თამაშობს და რეგიონის მასშტაბით ის პირველ ადგილს იკავებს თავსატეხების (ფაზლის) ტიპის მობილური თამაშების რეიტინგში, ხოლო მეორე ადგილს ზოგადად ყველა მობილური თამაშის რეიტინგში. მობილური აპლიკაციის მეშვეობით ხორციელდება ვიდეო რგოლების გაშვება, რომელთა ნახვაც თვის განმავლობაში 2 მილიონს აჭრებებს. როგორც მოსალოდნელი იყო, აღნიშნული მობილური აპლიკაციის წარმატებამ თავად გადაცემის პოპულარობა განაპირობა და სოციალურ მედიაში პირველი არხის პოზიციონირება კიდევ უფრო გაამყარა.

დასრულდა ამერიკული კომპანია „Metro Goldwyn Mayer“ –ის **პროექტი „ხარ თუ არა მეექვსე კლასელზე ჭკვიანი“**. პირველი სეზონი. სეზონის ფარგლებში მომზადდა 36 გადაცემა . პროექტში მონაწილეობა მიიღო 43-მა მოწვეულმა სტუმარმა და 120 მეექვსეკლასელმა,

რომლებიც მთელი ქვეყნის მასშტაბით ქასტინგის მეშვეობით შეირჩა. პროექტის განმავლობაში 77500 ლარი გათამამდა და მოგებული თანხით მონაწილეებმა საქართველოს 12 რეგიონის 42 სკოლას გადასცეს საჩუქრები: განახლდა ბიბლიოთეკები (1135 წიგნით); სპორტული (1314 სხვადასხვა სახეობის სპორტული ინვენტარით) და საბუნებისმეტყველო მეცნიერების კაბინეტები (2 მიკროსკოპით; ბიოლოგიისა და ქიმიის საცდელი ნივთიერებების ნაკრებით; 13 კომპიუტერი; 5 პროექტორი; 5 ხმის გამამძიერებელი თავისივე მიკროფონებით). ასევე სპეციალური საჩუქრები გადაეცათ საბალეტო სკოლას; ნიჭიერთა ათწლედს; მუსიკალურ სკოლებს და განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვების სკოლას.

პრიზების გადასაცემად სკოლებში თავად ცნობილი ადამიანები ჩადიოდნენ პროექტის მონაწილე მეექვსეკლასებთან ერთად და მათთან შეხვედრა კიდევ უფრო სასიხარულო და საინტერესო ფაქტი იყო სკოლის მოსწავლეებისათვის.

აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით სექტემბრიდან ჩაეშვება **დილის პროექტი**, რომლისც მედია წარმოების ბლოკი ძირითადად არსებული სტაფის ბაზაზე აწარმოებს. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ბიუჯეტის დამტკიცების ეტაპი. დილის ეტერი საზმალუწყებლის ეთერში 10 სექტემბრიდან გავა.

ვებ პლატფორმაზე განსხვავებული ფორმატით მაუწყებლობა დაიწყო **ვებ პროექტმა „რეალური სივრცე“** - სოციალურ ქსელებში კვირაში ერთხელ გადის სპეციალურად ვებისტვის მომზადებული 15 წუთიანი გადაცემა სრულიად განსხვავებულ სოციალურად მნიშვნელოვან თემებზე. გადაცემის წამყვანია ჟურნალისტი სოსო კაციტაძე

აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით წინა საანგარიშო პერიოდში დეკლარირებული ინიცირებული პროექტი **„დიდების რანინა“** წლევანდელ სატელევიზიო სეზონზე აღარ გაკეთდება. გადაწყდა, რომ გეგმიური ფინანსური რესურსი მოხმარდეს დილის და შუადღის პროექტებს და დიდების, ისევე როგორც პატარების „რანინა“ მომზადდეს 2019 წლის სატელევიზიო სეზონისთვის.

აღნიშნულ საანგარიშო პერიოდში საფეხბურთო მსოფლიო ჩემპიონატთან დაავშირებით დაიგეგმა და ეთერში იმაუწყებლა 2 "პეც პროექტი. პროექტი „ მოთელვა“ და „ ფეხბურთის ლოგიკა“

„ ფეხბურთის ლოგიკა“ - მომზადდება 24 სატელევიზიო პროექტი. ყოველდღიურ ეთერში რეჟიმში პირდაპირ ეთერში ტარდება ვიქტორინა და ვიქტორინას გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ სხვადასხვა პრიზები. ყველა გამარჯვებულის სახელი და გვარი შევიდა

მონაცემთა ბაზაში და თითოეულ მათგანს მიეცა შანსი მოიგოს მთავარი პროზი: ავტომობილი ან ტელევიზორი. პროექტი დასრულდა 15 ივლისს.

„მოთელვა“ - მომზადდა 24 სატელევიზიო პროექტი. ყოველდღიურ რეჟიმში პირდაპირ ეთერში იუმორისტულ ჟანრში მიმდინარეობდა საფეხბურთო მიმოხილვა. პროექტი დასრულდა 15 ივლისს.

მომზადდა სატელევიზიო პროექტი **„დოსიე“**, რომლის ავტორი და წამყვანია პაატა ქურდაძე. სატელევიზიო პროექტი გულისხმობს იმდაგვარ დოკუმენტური კინოფირების ჩვენებას, რომლებსაც ჩვენი მაყურებელი ან საერთოდ არ იცნობს, ან, სამწუხაროდ, სათანადოდ ვერ აფასებს მათ ღირსებებსა და მნიშვნელობას. პროექტი დამტკიცების ფაზაშია.

პროექტი **„ხანმოკლე მეოცე საუკუნე“**, რომელიც გასულ საუკუნეს ეძღვნებოდა, თავის ლოგიკურ დასასრულს მიუახლოვდა და მაუწყებლობა დაასრულა.

„წიგნების თაროს“ ორგანიზებით ჩატარდა სოციალური კამპანია „ მოსწავლეების არჩევანი“ რომლის მეშვეობითაც გამოვლინდა მოსწავლეების საყვარელი 21-ე საუკუნის ქართული წიგნი; „ხალხის რჩეული“. ჩატარდა ლექციების ციკლი „წიგნებსა და ადამიანებზე“, რომლის ფარგლებშიც გადაცემის შემოქმედებითი გუნდი საქართველოს სხვადასხვა რეგიონებს ესტუმრა და წაიკითხა ლექციები მნიშველოვან და აქტუალურ თემებზე. გადაცემის პარალელურად მიმდინარეობს ლიტერატურული კონკურსი, რომლის გამარჯვებული მოსწავლეები გადაცემის ბონუს თამაშში მიიღებენ მონაწილეობას.

დასრულდა და ვებ პლატფორმაზე განთავსდა მათემატიკის ინტერნეტ გაკვეთილების კურსი **„ცვანციკას ონლაინ გავითილები - მათემატიკა აბიტურიენტებისთვის“** . პროექტის ფარგლებში ჩაიწერა 130 ვიდეო გაკვეთილი , რომლის მიზანიც გახლდათ მოზარდებს მათემატიკის სასკოლო გამოცდის და ეროვნული გამოცდების უნარების მათემატიკური ნაწილის საკითხების დამღევაში დაეხმარებოდა. პროექტს აქვს აქტიური ფეისბუქ გვერდი სადაც ნებისმიერ მსურველს შეუძლია, მიიღოს პასუხი კონკრეტულ გაკვეთილთან დაკავშირებით .

პროექტის **„პირადი ექიმი“** ფარგლებში დაიგეგმა და განხორციელდა სოციალური კამპანია - "პირადი ექიმის გუნდი" , რომელიც აერთიანებს სხვადასხვა ასაკის და პროფესიის ადამიანებს ჯანსაღი ცხოვრების წესის და გადაცემის პრომოციისთვის.გადაცემამ შემოიკრიბა მოსწავლეები (პირველი გიმნაზია, ევროპული სკოლა, ქართული და უცხოენოვანი კონტინგენტი); და სტუდენტები (დ.ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი, ქართულ ამერიკული

უნივერსიტეტი), რომელთათვისაც გადაცემის ავტორმა და წამყვანმა მარი მალაზონიამ ჩაატარა საჯარო ლექციები.

განხორციელდა სერიული ტიპის დოკუმენტური ფილმის „**მისი უდიდებულესობა კომისარი - სტოქსი**“ წარმოებაში ჩაშვება.

რადიოს გადაფორმატების პროექტის ფარგლებში განახლდა რადიო პირველი არხის საღამოს ზოლი. ეთერში ჩაეშვა ახალი რადიო პროექტები. რადიო პროექტი „**სახლისკენ**“ , და რადიოპროექტი „**საუკეთესო წიგნები**“. განახლდა **დილის პიკის** საათი.

4. ნაკლებ მნიშვნელოვანი, მაგრამ აღსანიშნავი (მიღწევებიც და ჩავარდნებიც).

- ✓ დოკუმენტური ფილმების ვებპორტფელის ფარგლებში სამივე ტალღაზე სულ შემოვიდა 37 პროექტი.
- ✓ დასრულდა აკა მორჩილაძის საავტორო დოკუმენტური ფილმი “იონას საქართველო“. პროექტი მედია წარმოების ბლოკიდან გადავიდა მედია კომუნიკაციის ბლოკში საეთერო ბადეში განსათავსებლად.
- ✓ დასრულდა სერიალის „ვაკანსია მკვლელის თანამდებობაზე“ წარმოება. პროექტი მედია წარმოების ბლოკიდან გადავიდა მედია კომუნიკაციის ბლოკში საეთერო ბადეში განსათავსებლად.
- ✓ დასრულდა და ეთერში განთავსდა ტელე სპექტაკლი ‘უკომენტაროდ‘.

2. დინამიკა: მიმდინარე კვარტალში - ეტაპები/ქმედებები/ვადები

პროექტი	პლატფორმა	სტატუსი	ვადა
აკუსტიკა	ტელე პროექტი	მაუწყებლობა	On Air
წიგნების თარო	ტელე პროექტი	მაუწყებლობა	On Air
ხარ თუ არა მეხუთე კლასელზე ჭკვიანი?!	ტელე პროექტი	მაუწყებლობა	On Air
გურმანია	ტელე პროექტი	მაუწყებლობა	On Air
მარტივი ლოგიკა	ტელე პროექტი	მაუწყებლობა	On Air
რანინა პატარების	ტელე პროექტი	მაუწყებლობა	On Air
რანინა დიდების	ტელე პროექტი	გადაიდო	Oct-19
რეალური სივრცე	ტელე პროექტი	მაუწყებლობა	On Air
პირადი ექიმი - მარი მალაზონია	ტელე პროექტი	მაუწყებლობა	On Air
ფერმა	ტელე პროექტი	მაუწყებლობა	On Air
ილუზიონი	ტელე პროექტი	მაუწყებლობა	On Air

ჰოპლა ჩვენ ვცოცხლობთ	ტელე პროექტი	მაუწყებლობა	On Air
ხანმოკლე მეოცე საუკუნე	ტელე პროექტი	მაუწყებლობა	On Air
მათემატიკის გაკვეთილები	ვებ პროექტი	მაუწყებლობა	On Air
იონას საქართველო	დოკუმენტური სერიალი	დასრულებული	Sep-18
სტოქსი	დოკუმენტური სერიალი	წარმოების ფაზა	Jan-19
თბილისის გზაზე	დოკუმენტური სერიალი	წარმოების ფაზა	Mar-19
წერილები მეგობრებს	დოკუმენტური ფილმი	დასრულებული	Jan-18
ჯამბაზები	დოკუმენტური ფილმი	წარმოების ფაზა	Dec-18
უშგული- ჩემი სამოთხე	დოკუმენტური ფილმი	წარმოების ფაზა	Dec-18
თემურ ჩხეიძის შესახებ	დოკუმენტური ფილმი	წარმოების ფაზა	2018
გივი მარგველაშვილის შესახებ	დოკუმენტური ფილმი	წარმოების ფაზა	2018
ვაკანსია მკვლელის თანამდებობაზე	მხატვრული სერიალი	დასრულებული	2018
უკომენტაროდ	ტელე სპექტაკლი	მაუწყებლობა	On Air
სახლისკენ	რადიო პროექტი	მაუწყებლობა	On Air
მუსიკის გაკვეთილები	რადიო პროექტი	წარმოების შემდგომი ფაზა	Sep-18
საუკეთესო წიგნები	რადიო პროექტი	მაუწყებლობა	On Air
თავისუფალი ლიტერატურა	რადიო პროექტი	მაუწყებლობა	On Air
კულტურული მემკვიდრეობა	რადიო პროექტი	მაუწყებლობა	On Air
ცხოვრება ხელოვნებაში	რადიო პროექტი	მაუწყებლობა	On Air
აკადემიური სივრცე	რადიო პროექტი	მაუწყებლობა	On Air
მუსიკა რადიო ერთზე	რადიო პროექტი	მაუწყებლობა	On Air
პუბლიცისტური მემკვიდრეობა	რადიო პროექტი	მაუწყებლობა	On Air
რადიობლოგერი	რადიო პროექტი	მაუწყებლობა	On Air
სიტყვა ქართული	რადიო პროექტი	მაუწყებლობა	On Air
სოფლის დილა	რადიო პროექტი	მაუწყებლობა	On Air
სტილი და იდეა	რადიო პროექტი	მაუწყებლობა	On Air
ფოლკლორი რადიო ერთზე	რადიო პროექტი	მაუწყებლობა	On Air
ჩვენი საგანძური	რადიო პროექტი	მაუწყებლობა	On Air
ჩვენი ქალაქის პატარა ამბები	რადიო პროექტი	მაუწყებლობა	On Air
კონსულტაცია რადიო 1 ზე	რადიო პროექტი	მაუწყებლობა	On Air
განსხვავებული აზრი	რადიო პროექტი	მაუწყებლობა	On Air
მიგრაციის მარშუტები	რადიო პროექტი	მაუწყებლობა	On Air
პიკის საათი	რადიო პროექტი	მაუწყებლობა	On Air
შაბათ კვირა რადიო ერთზე	რადიო პროექტი	მაუწყებლობა	On Air
ხაზის რადიო	რადიო პროექტი	მაუწყებლობა	On Air

გალერეა რადიო	რადიო პროექტი	მაუწყებლობა	On Air
რადიოთეატრი	რადიო პროექტი	მაუწყებლობა	On Air
კულტურული მემკვიდრეობა ქართლის ცხოვრება (რადიო)	რადიო პროექტი	მაუწყებლობა	On Air
იყო და არა იყო რა	რადიო პროექტი	მაუწყებლობა	On Air
დო რე მი	რადიო პროექტი	მაუწყებლობა	On Air
იგს ბოქსი	რადიო პროექტი	მაუწყებლობა	On Air
კოლექცია	რადიო პროექტი	მაუწყებლობა	On Air
მუსიკა ღამით	რადიო პროექტი	მაუწყებლობა	On Air
რა სურთ ქალებს	რადიო პროექტი	მაუწყებლობა	On Air
უცნობი მუსიკა რადიო	რადიო პროექტი	მაუწყებლობა	On Air
ორიენტირები	რადიო პროექტი	მაუწყებლობა	On Air
კინოფილმი უეკრანოდ	რადიო პროექტი	მაუწყებლობა	On Air
რადიოსერიალი	რადიო პროექტი	მაუწყებლობა	On Air
თეატრი რადიო 1 ზე	რადიო პროექტი	მაუწყებლობა	On Air

6. სერიოზული პრობლემები და მათ დასაძლევად გადადგმული ნაბიჯები, მოგვარების გზები.

NON

7. მომავალი კვარტლის გეგმები (მომავალი კვარტლის სიახლეები: უკვე დაწყებულია განვითარება, სხვა).

- მიმდინარეობს დილის პროექტის დაფორმატება
- მიმდინარეობს მომავალი 2019 წლის სეზონის და ბიუჯეტის დაგეგმარება
- მიმდინარეობს პროექტი „დოსიეს“ დაფორმატება
- მიმდინარეობს რადიო პროექტების ეტაპობრივი დაფორმატება

წარმოებისა და ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის შესრულებული სამუშაოები:

2018 წლის II კვარტალში საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი კორპუსის პირველ სართულზე ყოფილი მეორე არხის სტუდიის ტერიტორიაზე, სარემონტო სამუშაოების დასრულების შემდეგ, დამონტაჟდა ორი მცირე ზომის ტელე-რადიო სტუდია: დაიდგა HD ფორმატის კამერები დამონტაჟდა მიკროფონები და აუდიო მიქშერები და სხვა ტექნიკური მოწყობილობები, გაყვანილ იქნა შესაბამისი კომუნიკაციები. ყოველივე ამან საშუალება მოგვცა პროექტ „მრავალფეროვანი საქართველოს“ ფარგლებში დაგვეწყო ვებ-მაუწყებლობა სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.

1. ტექნიკურმა დეპარტამენტმა 26 მაისს, დამოუკიდებლობის 100 წლის დღესასწაულთან დაკავშირებით, განხორციელა გარე სატელევიზიო სტუდიის მოწყობა რუსთაველის გამზირზე პირდაპირი ტელე ტრანსლაციების უზრუნველსაყოფად. იმის გამო, რომ არ გვქონდა საკმარისი თავისუფალი ტექნიკური რესურსი გადაცემების და რეპორტაჟების უზრუნველსაყოფად დროებითი დემონტაჟი გაუკეთდა მაუწყებლის სატელევიზიო სტუდიებში არსებულ ტელე და რადიო აპარატურას, დამზადდა მოძრავი სადგამები, სტელაჟები და სხვა აუცილებელი დროებითი აქსესუარები. განხორციელდა ზემოაღნიშნული მოწყობილობის მონტაჟი რუსთაველის გამზირზე, საზოგადოებრივი მაუწყებლობისთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე. მოეწყო რამდენიმე თემატური ტელე და რადიო სტუდია, რომლებიც მოძრავი სატელევიზიო სადგურის მეშვეობით დაუკავშირდა საზოგადოებრივი მაუწყებლობის საინფორმაციო სააპარატოს. საზოგადოებრივი მაუწყებლობის შენობაში ჩატარდა სამონტაჟო სამუშაოები, რათა საინფორმაციო სტუდიას მიეღო სიგნალები რადიო 1-ის და ნაციონალურ ენებზე მომუშავე სტუდიიდან.

2. განხორციელდა მაუწყებლის პირველი და მესამე კორპუსების დაკავშირება ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის მეშვეობით. მესამე სტუდიის მიმდებარე ოთახში დაიდგა ოპტიკურ-ბოჭკოვანი მოწყობილობების კალათები HD-SDI ვიდეო სიგნალებისა და კავშირის გადამცემ მიმღები პლატებით. ამან საშუალება მოგვცა, მესამე სტუდიასთან განთავსებული მოძრავი სატელევიზიო სადგური დაგვეკავშირებინა ცენტრალურ საეთეროსთან და მოგვეწყო ამ სტუდიიდან პირდაპირი ეთერები.

3. პირველი კორპუსის მეორე სართულზე საინფორმაციო პროგრამა „მოამბის“ სასერვეროდან, მესამე სართულზე „მოამბის“ ახალი „ფაილ და ბეისბენდ“ ინჯესტების ოთახებამდე ჩაიდო ახალი ვიდეო კაბელები. ახალი „ბეისბენდ“ ინჯესტის სააპარატოსთვის დამზადდა ახალი საკომუტაციო და კონტროლის კარადა. დაგრძელდა ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელი ინჯესტიდან ცენტრალურ სააპარატომდე. მეორე სართულზე საინფორმაციო პროგრამა „მოამბის“ „ფაილ და ბეისბენდ“ ინჯესტებს გაუკეთდა დემონტაჟი, ამის შემდეგ კომუტაცია გადაირთო ახალ ინჯესტ ოთახებზე.

ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური, შესრულებული სამუშაოები:

1. დამონტაჟდა დამატებითი დაშვების წერტილი ცენტრალურ შემოსასვლელში ოპერატორებისათვის (კარი აღიჭურვა დაშვების კონტროლერით, ბარათის წამკითხველებით, ელექტრო საკეტით, ავტომატური მოხურვის მექანიზმით) დაერთებული იქნა დაშვების ძირითად სისტემასთან.
2. დაიწერა პროგრამა, რომელიც დაშვების სისტემის მონაცემთა ბაზიდან იღებს ინფორმაციას თანამშრომელთა მიმოსვლის შესახებ (დასწრება, ნამუშევარი საათები, დაგვიანებები)
3. მომზადდა ტექნიკური მოთხოვნები და ტენდერით შეძენილი იქნა სამონტაჟო-გრაფიკული სადგურები.
4. დამუშავების სტადიაშია უსაფრთხოების კამერებისა და ჩამწერი სერვერის (NVR) პროექტი, რომელიც მოიცავს 200 უსაფრთხოების კამერას და 90 დღის ვიდეო მასალის ჩაწერა-შენახვას.
5. დამუშავების სტადიაშია (ფინალურ) სერვერ-სტორიჯის (Server-Storage) პროექტი რომელიც მოიცავს ორ სისტემას და არხის IT ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვან მოდერნიზაციას.

რადიო და ტელემაუწყებლობა, გავრცელების პლატფორმები, შესრულებული ტექნიკური სამუშაოები:

1. საზოგადოებრივი რადიომაუწყებლობის ახალი საეთერო სტუდიის გაშვებასთან ერთად ჩატარდა “რადიო პირველი არხის“ და „რადიო მეორე არხის“ საეთერო პროგრამული ავტომატიზაციის (ფლეიუტის) ძველი კომპიუტერებისა და აღწარმოების პლატფორმის შეცვლა ახლით- „ჯაზლერ 2“ -ით. ასევე, ტექნიკური ჯგუფის მიერ განხორციელდა რადიოს ცენტრალური ციფრული საეთერო მიქშერის არხების პარამეტრების გაწერა ინდივიდუალური პრესეტებით, ასევე ახალი ამბებისა მიკროფონებისა და თოქ-შოუს რეჟიმში მომუშავე მიკროფონებისთვის. არხების ციფრული დამუშავების პარამეტრები შერჩეულ იქნა ინდივიდუალურად, წამყვანებისა და გადაცემების ფორმატის შესაბამისი ხმის გარჩევადობისა და ჟღერადობის სასურველი ხარისხის მისაღწევად. აღსანიშნავია, რომ რადიოს ახალი აუდიო კონსოლი საშუალებას იძლევა ყველა მიკროფონისა და სხვა აუდიო წყაროს სიგნალი სტუდიიდან მიეწოდოს საეთერო სააპარატოს ციფრული „ტივო“ ინტერფეისით, რაც გამორიცხავს მიმყვან კაბელებში ფონის, ხმაურის ან ხმის დამახინჯებების წარმოქმნას.
2. EBU-ს მოთხოვნების მიხედვით, სატელიტური ჯგუფის თანამშრომლების მიერ ხორციელდებოდა EBU-MNT ტერმინალის პროგრამული განახლება, EBU-FEP ფაილების გაცვლის პლატფორმის აპარატურის პროგრამული განახლება. ასევე ჩატარდა 10 გრადუსზე მომუშავე სატელიტური ანტენის შემოწმება, მომსახურება, გამართვა და მომზადება 2018 წლის

ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის მისაღებად. მსოფლიო ჩემპიონატიდან ალტერნატიული, სარეზერვო სიგნალების მისაღებად, ოპტიკურ-ბოჭკოვანი ხაზის მეშვეობით განხორციელდა დამატებითი დაშორებული ანტენის და სპეციალიზირებული მიმღების ჩართვა სიგნალების მოწოდების წრედში, რამაც საგრძნობლად შეამცირა უამინდობით გამოწვეული ტრანსლირების ხარვეზების წარმოქმნის რისკი.

3. 2018 წლის II კვარტალში შემოსული ზარების მიხედვით, საზოგადოებრივი პროგრამების გავრცელებისას, დაფიქსირებულია ხარვეზის 24 შემთხვევა. ყველაზე მეტი დარღვევა დაფიქსირდა ოზურგეთიდან შემოსული ზარების შედეგად, სულ 14 შემთხვევა. 9 შემთხვევაში საზოგადოებრივი რადიოს პირველი არხის პროგრამის ნაცვლად, გადაიცემოდა სატელევიზიო პროგრამის თანმხლები ხმა. 4 შემთხვევაში პროგრამა გადაიცემოდა წყვეტებით, ხოლო 1 შემთხვევაში ეთერში იყო სიჩუმე. წინა პერიოდისაგან განსხვავებით, ჩვენი ტექნიკური კონტროლის სამსახურის ჩარევის შედეგად, გადამცემი სადგურის ტექპერსონალის მიერ ხარვეზის გამოსწორება ხდებოდა უმოკლეს დროში.

ადამიანური რესურსების მართვის სამსახური

1. ინფორმაცია 2018 წლის 30 ივნისის მდგომარეობით დასაქმებულთა რაოდენობის

შესახებ

2018 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, სსიპ “საზოგადოებრივ მაუწყებელში“ დასაქმებული იყო 1 205 თანამშრომელი (მათ შორის 491 ქალი).

2. ინფორმაცია 2018 წლის აპრილი, მაისი და ივნისის მდგომარეობით

ა) 2018 წლის 30 აპრილის მდგომარეობით, სსიპ “საზოგადოებრივ მაუწყებელში“

- სხვა სამუშაო შეთავსებული ჰქონდა 25 თანამშრომელს;
- სამუშაოზე მიღებული იქნა 9 თანამშრომელი;
- შრომით-სამართლებრივი ურთიერთობა შეწყდა 6 თანამშრომელთან;
- დეკრეტულ შევებულებაში იმყოფებოდა 10 თანამშრომელი;
- 2018 წლის აპრილი თვეში სსიპ “საზოგადოებრივ მაუწყებელმა“ მიიღო 5 სტაჟიორი.

ბ) 2018 წლის 31 მაისის მდგომარეობით, სსიპ “საზოგადოებრივ მაუწყებელში“

- სხვა სამუშაო შეთავსებული ჰქონდა 27 თანამშრომელს;
- სამუშაოზე მიღებული იქნა 8 თანამშრომელი;
- შრომით-სამართლებრივი ურთიერთობა შეწყდა 9 თანამშრომელთან;
- დეკრეტულ შევებულებაში იმყოფებოდა 10 თანამშრომელი;
- 2018 წლის მაისის თვეში სსიპ “საზოგადოებრივ მაუწყებელმა“ მიიღო 1 სტაჟიორი.

გ) 2018 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, სსიპ “საზოგადოებრივ მაუწყებელში“

- სხვა სამუშაო შეთავსებული ჰქონდა 28 თანამშრომელს;
- სამუშაოზე მიღებული იქნა 14 თანამშრომელი;
- შრომით-სამართლებრივი ურთიერთობა შეწყდა 9 თანამშრომელთან;
- დეკრეტულ შევებულებაში იმყოფებოდა 13 თანამშრომელი;
- 2018 წლის ივნისის თვეში სსიპ “საზოგადოებრივ მაუწყებელმა“ მიიღო 13 სტაჟიორი.

საანგარიშო პერიოდში:

- მაუწყებლის შენობა-ნაგებობებში დაშვება-კონტროლის სისტემის მოწყობილობების მონტაჟის სამუშაოების და პროგრამული უზრუნველყოფის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის ფარგლებში დასრულდა შესაბამისი სისტემების მონტაჟისა და გამართვის სამუშაოები. ახალი სისტემის ფარგლებში დამუშავდა ბაზები და გაიწერა სისტემის რეპორტისთვის აუცილებელი ინფორმაცია, რის საფუძველზეც შესაძლებელი გახდა საჭირო მონაცემების მიღება;
- გაგრძელდა მუშაობა საზოგადოებრივი მაუწყებლის საშტატო განრიგზე.

იურიდიული სამსახური

1. ხელშეკრულებების შესახებ

2018 წლის მე-2 კვარტალში იურიდიული სამსახურის მიერ მომზადდა 313 ხელშეკრულება (მათ შორის, ხელშეკრულებები სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, საიჯარო, სარეკლამო/სასპონსორო და სხვ.).

2. სასამართლოში და სააპელაციო ბიუროში არსებული საქმეების შესახებ

2.1.

სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ წინააღმდეგ საერთო სასამართლოებში არსებული საქმეების ნუსხა 2018 წლის მე-2 კვარტლის განმავლობაში:

№	მოსარჩელე	დავის საგანი	საქმის წარმოების სტადია
2.	ფ/პ გიორგი ბაქრაძე	კომპენსაციის (განაცდურის) სახით 185 000 ლარის ანაზღაურება	<p>– თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.</p> <p>– სასამართლო გადაწყვეტილება გ. ბაქრაძის მიერ გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში</p> <p>– თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და ძალაში დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება</p>
3.	ფ/პ ილია ნატროშვილი	სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება	<p>– თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.</p> <p>– თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ი. ნატროშვილის სააპელაციო საჩივარი, ბათილად იქნა ცნობილი შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ ბრძანება და სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებელს“ დაეკისრა კომპენსაციის სახით ი. ნატროშვილის სასარგებლოდ 18 000 ლარის გადახდა</p>
